



ახალი განათლება

13-19.12.2018

№38 (832) განთავსებულია 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

**„თავდაცვა და უსაფრთხოება“
არჩევითი საბანი,
რომელმაც კითხვები გააჩინა**



გვერდი 2

შავი ზღვის უნივერსიტეტს პირველკურსელთა მიღების უფლება დაუბრუნდა

8 დეკემბერს ჩატახებელი სახისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, შავი ზღვის უნივერსიტეტს პირველკურსელთა მიღების უფლება აღუდგა და სტუდენტთა მიღების ევოლუცია, მოთხოვნის შესაბამისად, 3500 სტუდენტამდე გაეზარდა; უფრო ადრე, 22 ოქტომბერს, საქაჯო სასამართლომ უნივერსიტეტის ქონებას ყადაღა მოხსნა. ასე რომ, უნივერსიტეტის საჩრდილ მთლიანად დაემყარებოდა, თუ ახი ჩავთვლით პირველკურსელთა მიღებასთან დაკავშირებულ საკითხს, რომელიც განათლების სამინისტრომ უნდა გადაწყვიტოს, ხაც ითვალისწინებს პირველკურსელთა მიღებას ახი სექტემბრიდან, ახამედ მუხიე სემესტირიდან, მოხილომის ნუსით, რომელიც ამას უნივერსიტეტი ითხოვს.



გვერდი 9

კვლეობთა დასახმარებლად

**ცოტა რამ გარე
დაკვირვების შესახებ**

გვერდი 3

**წარმოებულის
მექანიკური შინაარსი**

გვერდი 6

**როგორ ავამატლოთ
მოსწავლეებში
სწავლის მოტივაცია**

გვერდი 7

სამოღლო გაცვითილი

გთავაზობთ
გარდაბნის
მუნიციპალიტეტის
სოფელ ნაზარლოს
საჯარო
სკოლის ქართულის,
როგორც
მეორე ენის
მასწავლებლის,
ნუბარ ბაირამოვას
სამოღლო
გაცვითილს
(ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე)



ბულინგი BULLYING



გვერდი 4

საუბრები ლიტერატურაზე

**ტალატი
თუ მოვალეობა**

გვერდი 8

სამოღალო გაკვეთილი

ბულინგი

სკოლა: გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაზარლოს საჯარო სკოლა
მასწავლებელი: ნუბარ ბაირამოვა
კლასი: XII

მოსწავლეთა რაოდენობა: 28
ენობრივი დონე: A2

საბანი: ქართული, როგორც მეორე ენა

შესაბამისობები ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

- ქ.მ. XII.2. მოსწავლეს შეუძლია მისთვის საინტერესო თემაზე კომპლექსური შინაარსის სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა და გაგება.
ქ.მ. XII.5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტის გაგება.
ქ.მ. XII.10. მოსწავლეს შეუძლია ხმამაღალი კითხვის ტექნიკის გამოყენება.
ქ.მ. XII.14. მოსწავლეს შეუძლია დაიცვა წერილობითი არამხატვრული ტექსტის სტრუქტურა, აგრეთვე გამოიყენოს შესაბამისი ენობრივი საშუალებები.
ქ.მ. XII.17. მოსწავლეს შეუძლია, წერის პროცესის ყველა ეტაპზე (მოსამზადებელი, ტექსტის შედგენა, ტექსტის გაუმჯობესება) შედეგის გასაუმჯობესებლად, ეფექტური სტრატეგიების გამოყენება.

გაკვეთილის ძირითადი თემა: ბულინგი

მისაღწევი მიზნები:

- მოსწავლეები შეძლებენ ბულინგის თემაზე მცირე ზომის ტექსტის წაკითხვასა და გაგებას;
• მოსწავლეს შეეძლება ბულინგის შესახებ მცირე ტექსტის შედგენა (თავისი ან/და სხვისი გამოცდილებიდან);
• ბულინგზე საკუთარი აზრის გამოთქმა სხვისი ან თავისი გამოცდილებიდან;
• მოსწავლეები შეძლებენ ბულინგის სახეების განსაზღვრას (ფიზიკური აგრესია, სიტყვიერი ბულინგი, დაშინება, გამოძალვა, იზოლაცია, ქონების დაზიანება);
• მოსწავლეები იმსჯელებენ ბულინგის წარმოშობის სავარაუდო მიზეზებსა და მათი აღმოფხვრის გზებზე.

მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეებმა იციან ბულინგის სახეები, ერკვევიან გამომწვევ მიზეზებში და შეუძლიათ მსჯელობა ბულინგის ამა თუ იმ შემთხვევაზე, შეუძლიათ მცირე ტექსტის გაგება და ანალიზი.

გაკვეთილზე გამოყენებული რესურსი/რესურსები:

- მულტიმედია;
• ფლიფლარტი, მარკერი, დაფა;
• პროექტორი, ლეპტოპი;
• ამობეჭდილი ტექსტი;
• ამობეჭდილი ფოტოსურათები.

საორგანიზაციო საკითხები - 3 წუთი

(სიის ამოკითხვა, მისაღება, თემისა და მიზნის გაცნობა, შეფასების რუბრიკის მიმოხილვა)

აქტივობა 1

საკლასო მენეჯმენტი - საერთო საკლასო

რესურსი - წინასწარ ამობეჭდილი მასალა

დრო - 5წთ


აქტივობის შინაარსი:

- მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სურათებს და სთხოვს, დააკვირდნენ პირველ დავალებში მოცემულ სურათებს.
• მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრს სურათებთან დაკავშირებით, მსჯელობენ, ასახუთებენ, მიფრავენ.

აქტივობის მოსალოდნელი შედეგი:

მოსწავლეს უვითარდება შემოქმედობითობის უნარ-ჩვევა, მას შეუძლია აღწეროს სურათი საკუთარი ინტერპრეტაციით და გააცნოს კლასს.

- დახედეთ სურათს, რა ასოციაციები გიჩნდებათ მასთან დაკავშირებით?



აქტივობა 2

საკლასო მენეჯმენტი - საერთო საკლასო

რესურსი - წინასწარ ამობეჭდილი მასალა

დრო - 10წთ

აქტივობის შინაარსი:


პედაგოგი მოსწავლეებს სთხოვს, დაწერონ ბულინგის განმარტება, რა მიაჩნიათ ბულინგად, ვინ მიაჩნიათ ბულერად. ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს წაუკითხავს ბულინგის განმარტებას, რომელსაც ისინი შეადარებენ თავიანთ ფრაზებში, ვენის დიაგრამის მეთოდით გამოთქმულ, განმარტებას.

აქტივობის მოსალოდნელი შედეგი:

- მოსწავლემ კარგად იცის რა არის ბულინგი და როგორი სახის ბულინგი არსებობს;
• მოსწავლე აცნობიერებს და იმსახვობს ბულინგის სავალალო შედეგს.

განმარტება

ბულინგი ეს არის ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა, ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან, მეორე ინდივიდზე, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა კონკრეტულ სიტუაციაში. ზუსტი ქართული შესატყვისი ამ ინგლისურ ტერმინს არ მოეპოვება. ის დაცინვას, აბურხად აგდებას, გამახსნარავენებს ნიშნავს.



აქტივობა 3

საკლასო მენეჯმენტი - ჯგუფი

რესურსი - წინასწარ ამობეჭდილი მასალა

დრო - 12წთ

აქტივობის შინაარსი:

მოსწავლეები ეცნობიან მცირე ტექსტებს და შემდეგ, ჯგუფური მუშაობის მეთოდით, აკავში-

რებენ ფოტოებთან. ქეშმარტია, მცდარია ტიპის დავალებით გამოწმებ რამდენად გაიგეს ტექსტი მოსწავლეებმა.

აქტივობის მოსალოდნელი შედეგი:

მოსწავლეებს უვითარდებათ ჯგუფური, თანამშრომლობითი მუშაობის უნარ-ჩვევები, ამავედროულად, ბლუმის ტაქსონომიის მაღალი სააზროვნო უნარი, სინთეზი-ანალიზი, რის შედეგადაც ისინი მოცემულ ტექსტს ფოტოსურათთან აკავშირებენ.

- იმუშავეთ ჯგუფებში, სურათები და ტექსტები დაუკავშირეთ ერთმანეთს:



ტიქსტი №1

დედა და მამა ვერ თანხმდებიან, თუ რა რეაქციით უპასუხოთ ორი წლის შვილის ხმაურიან თამაშებს. მამა თვლის, რომ ბავშვმა ადრეული ასაკიდან უნდა ისწავლოს ქცევის წესები. მას სურს სახლი სინყნარე, რადგან მისი სამსახური ძალიან დამღლეულია. დედა კი თვლის, რომ არ შეიძლება ორი წლის ბავშვს ხმაური და ტირილი აუკრძალო, რადგან ეს მის განვითარებას შეაფერხებს. მშობლები ხშირად კამათობენ და ამის გამო ბავშვი კიდევ უფრო მეტად ტირის.

ტიქსტი №2

სანანი 13 წლის პატარა, გამხდარი ბიჭია. როცა ის სათამაშო მოედანზე გადის, დიდი ბიჭები ხშირად ჩაგრავენ. ერთხელ ლეომ ველარ მოითმინა და დიდ ბიჭებს უთხრა, რომ ჩაგვრა არ შეიძლება და ასე გაუნათლებელი ადამიანები იქცევიან. პასუხად დიდმა ბიჭებმა ლეო სასტიკად სცემეს.

ტიქსტი №3

გიორგი და მისი ძმა ერთ ოთახში ცხოვრობენ და საერთო კომპიუტერით სარგებლობენ. საღამოს გიორგის თავისი სოციალური ქსელის ექაუნთი ჩართული დარჩა, სკოლიდან მოსულმა მისმა ძმამ ამით ისარგებლა და გიორგის გვერდიდან წერილები გააგზავნა, აგრეთვე გამოაქვეყნა მისი პირადი ინფორმაცია. ამის გამო გიორგის მისმა თანაკლასელებმა დასცინეს.

ტიქსტი №4

ანას ოჯახი სოციალურად დაუცველთა სიაშია, მათ ფინანსური პრობლემები აქვთ და ანას არ აცვია ისეთი ტანსაცმელი, როგორც თავის თანაკლასელებს. როდესაც ის მათთან თამაშს ცდილობს, ბავშვები გაუბრიან, არ ეთამაშებიან. ამის გამო ანა ძალიან ნერვიულობს და ხშირად ცუდ ხასიათზეა.

აქტივობა 4

საკლასო მენეჯმენტი - წყვილებში

რესურსი - პროექტორი, ლეპტოპი

დრო - 12წთ

აქტივობის შინაარსი:

- მოსწავლეები უყურებენ ფილმს და ფილმის შინაარსიდან გამომდინარე ავსებენ კონკრეტულ ცხრილს.
• მოსწავლეები ავსებენ კონკრეტულ ცხრილს.

აქტივობის მოსალოდნელი შედეგი:

მოსწავლეები სწავლობენ ტექნოლოგიით, მათ შეუძლიათ ფილმის შინაარსის გადმოცემა და საკუთარი აზრის დაფიქსირება, ასევე კონკრეტული ფაქტის დამახსოვრება და ცხრილის შევსება.

შეჯამება: (6წთ)

რა იყო საინტერესო?

ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ?

კიდევ მოკლედ ვთქვათ რა არის ბულინგი?

განსაკუთრებით რომელი აქტივობა იყო თქვენთვის საინტერესო?

გაგიჭირდათ თუ არა ჯგუფებს ერთ კონკრეტულ აზრზე, დასკვნაზე გასვლა?

საშინაო დავალება:

გაისხენეთ თქვენი გამოცდილებიდან ბულინგის რომელიმე სახეობის ერთი მაგალითი და აღწერეთ მოკლედ.

Blank lines for student answers to the homework assignment.

შეფასება - განმსაზღვრელი-განმამიტიარაპელი

Table with 2 columns: Assessment criteria and score. Criteria include 'ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია' (score 1), 'ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს' (score 2), 'ჯგუფის წევრები თანამშრომლობენ (აზრის გამოხატვის თანაბარი პირობები)' (score 2), 'ჯგუფი პრეზენტაციისას წარმოადგენს მთავარ იდეას, აკეთებს დასკვნებს' (score 2), 'ჯგუფი პასუხობს შეკითხვებს' (score 2), 'ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს' (score 1).

ტიქსტი მუშაობის შეფასების რუბრიკა

Table with 2 columns: Assessment criteria and score. Criteria include 'ტიქსტი ახარისხებს ინფორმაციას' (score 2), 'ამოინერს/მოინიშნავს და განმარტავს მთავარ სიტყვებს/ცნებებს' (score 3), 'ტიქსტის დასამუშავებლად და გასაზრებლად იყენებს სქემებს, დიაგრამებს, აზრობრივ რუკებს' (score 3), 'მსჯელობს და აკეთებს შესაბამის დასკვნებს' (score 4).

BULING

Məktəb: Qardaban Muncipalitetinin Nazarlı ictimai məktəbi

Müəllim: Nubar Bayramova

Sınıf: XII

Şagirdlərin sayı: 28. Bunlar arasında SSSM 1

Dil səviyyəsi: A2

Fənn: Gürcü ç ikinci ana dili

Uyğunluqlar milli dərslər planlamasından:

Ə. XII.2 Şagird onun üçün maraqlı olan müxtəlif növ tekstlərə qulaq asıb, qavraya bilər.

Ə. XII.5 Şagirdlər bədii olmayan müxtəlif növ tekstlərin qavranılmasını bacarırlar.

Ə. XII.10 Şagird yüksək səsə oxumağı bacarır.

Ə. XII.14 Şagird bədii olmayan tekstin strukturunu qoruyur və lazım olan dil səviyyəsindən istifadə edir.

Ə. XII.17 Şagird yazı proseslərinin bütün etablardan (hazırlıq tekstin qurulması, tekstin yenilənməsi) yeni nəticəyə gəlmək üçün effektiv strategiyalardan istifadə etməyi bacarır.

Dərsin əsas teması (Buling)

Gözlənilən yüksələsi nəticələr:

- Şagirdlər buling haqqında az həcmli texti oxuyub qavramağı bacarırlar;
- Şagird buling haqqında qısa , az həcmli tekst yazmağı bacarır (özünün və ya başqasının təcrübəsinə əsasən);
- Buling haqqında öz fikirlərini deməyi başqasının və ya öz təcrübəsi əsasında;
- Şagirdlər buling sahələrini sərhədləndirməyi bacarırlar (fiziki aqrəsiya ,sözlü buling, yeni zorakılıq , qorxutmaq ,varlığa ziyan vurulması);
- Şagirdlər müzakirə edirlər bulingin yaranmasının təxmini səbəblərini.

Gözlənilən nəticələr:

Şagirdlər bulingin sahələrini bilirlər , Buling haqqında hər hansı hadisə haqqında müzakirə etməyi və az həcmli tekstin qavranılmasını və analizini bacarırlar.

Dərslə istifadə olunan resurslar:

- Multimedia
- flibnart, marner, löhvə
- proenter, dizüstü kompiuter
- çap olunmuş tekst
- çap olunmuş şəkillər

Orqanizə məsələləri – 3

- siyahının oxunması ,salamlaşma, temanın və məqsədin tanış edilməsi , qiymətləndirmə rubrinasi ilə tanışlıq.

Aktivlik 1

Sınıf menegmenti – bütün sinif

resurs – əvvəlcədən çap etdirilmiş text

vaxt – 5dəq

Aktivliyin məzmunu:



Müəllim göstərir şagirdlərə və xaiş edir ki, diqqət yetirsinlər birinci tapşırıqda verilmiş şəkillərə

- Şagirdlər şəkillər haqqında öz fikirlərini deyirlər , müzakirə edib açılayırlar .

Aktivlikdən gözlənilən nəticə:

Şagird şəkli təsvir edib sinflə tanış etməyi bacarır.

- Şəklə baxın: nə asosiyalar (fikir) yaradır onunla bağlı:



Aktivlik 2

Sınıf menegmenti – bütün sinif

Resurs – öndən çap edilmiş text

Vaxt – 10dəq

Aktivliyin məzmunu:


Müəllim xaiş edir şagirdlərdən bulingin açıqlamasını yazsınlar, buling deyə nə nəzərdə tuturlar, buler (zorani) nemi nəzərdə tuturlar Ç bütün bunlardan sonra müəllim oxuyur bulingin açıqlamasını, bu açıqlamanı şagirdlər Ven diaqram metodundan istifadə edərək, öz izzahlarıyla müqayisə edirlər.

Aktivlikdən gözlənilən nəticə:

Şagird yaxşı bilir buling nədir ,hansı növ buling var. Şagird tanıyır və yadda saxlayır bulingin nəticələrini.

AÇIQLAMA (İzah)

Buling uzun müddətli fiziki və psixoloji zorakılıqdır, Bir şəxs və ya bir qrup tərəfindən II şəxsə və ya qrupa hansı ki, konkret hallarda özünü qorumağı bacarmır ,Bu ingilis termininin dəqiq və uyğun tərcüməsi yoxdur .O , başqasına gülmək ,Küçümsəmək ,ələ salmaq kimi izah edirlər.



Aktivlik 3

Sınıf menegmenti – qrup

Vaxt – 12 dəq

Aktivliyin məzmunu:

- Şagirdlər qısa textlərlə tanış olurlar və qrup halında işləyərək şəkillərlə əlaqələndirib düzdür yoxsa səhvdir tipli tapşırıqla yoxlanılır. Şagirdlər texti nə dərəcədə başa düşüblər .

Aktivlikdən gözlənilən nəticə:

Şagirdlərin qrup halında əməkdaşlıq qabiliyyətlərinin eyni zamanda blum taksonomyasının

qavranılması sintezi –analizi nəticəsinə textləri verilmiş şəkillərlə əlaqələndirirlər.

- qrup halında işliyin və şəkilləri və textləri bir-biri ilə əlaqələndirin



TEXT 1. Ana və ata razılığa bilmirlər nə reaksiya göstərsinlər 2 yaşlı uşağa səs salaraq oyunlar oynayırlar. Ataya görə uşaq balacaykən davranış qaydalarını öyrətmək lazımdır.

O, evdə sakitçilik ilməğini istəyir ona görə ki onun işi çox yorucudur. Anasına görə 2 yaşlı səs küy salması və ağlamasını qadağan etmək qısıtlamaq uşağın inkişafını zəiflədir. Validiyenlər tez-tez mübahisə edirlər və buna görə uşaq daha çox ağlayır.

TEXT 2. Sənan 13 yaşında balaca arıq oğlandır o, nə zaman fitbol meydançasına getsə uşaqlar onu küçümsəyir. Bir dəfə Leo dözə bilmədi və yaşça böyük oğlanlara dedi ki, etdiyin hərəkət safatsız insanların davranış qaydası. Buna cavab olaraq böyük oğlanlar Leoyu möhkəm döydülər.

TEXT 3. Leo və qardaşı bir otaqda qalırlar ikisi eyni kompuyterdən istifadə edirlər. Axsam üstü Georjinin sosial şəbəkələr ekantu açıq qalır və onun qardaşı məktəbdən gəldikdən sonra georjinin səhifəsindən məktublər göndərdi və onun şəxsi bilgilərini paylaşdı və bunun nəticəsində Georjinin sinif yoldaşları ona güldü.

TEXT 4. Ananın ailəsi sosial cəhətdən qorunarsı siyahıdadırlar onların mədii cəhətdən problemləri var. Ana sinif yoldaşlarının geyindiyi paltarlardan geyinə bilmir. O nə zaman oyun oynamaq istəsə uşaqlar ondan uzaqlaşır oynamırlar və bu na görə o tez-tez özünü pis hiss edir

Aktivlik 4.

Sınıf menegmenti – bütün sinif

Resurs – proektor diz üstü kompuyter

Vaxt – 12 dəqiqə

Aktivliyin məzmunu:

- Şagirdlər filimə baxırlar və filimin məzmunun nəticəsində cədvəli doldururlar
- Şagirdlər konkret cədvəli doldururlar.

Aktivlikdə gözlənilən nəticə:

Şagirdlər texnologiya ilə oxumağı filimin məzmunu öz şəxsi fikirlərini eyni zamanda konkret fakti yada saxlayıb cədvəli doldurmağı bacarırlar.

Cəmləmə nəticələndirmə:

Nə maraqlı idi

ən çox nə yadaşınızda qaldı?

Buling haqqında qısaca deyə, sizin üçün hansı aktivlik xasisəsi maraqlı idi.

Nəticəyə gəlməkdə çətinlik çətinizmi.

Ev tapşırığı

Öz təcrübələrinizə dayanaraq bulingin hər hansı bir sahəsi haqqında qısaca yazın

Lined area for writing student responses.

Qiymətləndirmə

qrupun bütün üzvləri iştirak edir.	1
Qrupun bütün üzvləri bir birlərinə qulaq asırlar.	2
Qrupun bütün üzvləri əməkdaşlıq edirlər.	2
qrup prezdentasiyanı təqdim edir nəticəni göstərin	2
Qrup suallara cavab verir.	2
Qrup vaxt limitindən səmərəli istifadə edir.	1

Textlə işləmənin qiymətləndirmə rubrikası

Textə informasiyaları seçə bilər.	2
Yazır/Qeyd edir və izah edir əsas sözləri.	3
Textin yadda qalması və qavranılması üçün sxemlərdən, diaqramlardan fiziki xərirlərdən istifadə edir.	3
Müzakirə edir və uyğun nəticəyə gəlir.	4

ინფორმაცია

შავი ზღვის უნივერსიტეტს პირველკურსელთა მიღების უფლება დაუბრუნდა

განათლებლის ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის სექტემბერში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ერთი წლით აეკრძალა პირველკურსელთა მიღება, ფინანსური დავალიანების გამო და ყადაღა დაედო უნივერსიტეტის ანგარიშებს, რასაც საზოგადოების ვენებათა ლეღვა მოჰყვა. უნივერსიტეტის მესვეურები „მიზანმიმართულად და უსამართლო პოლიტიკურ გადაწყვეტილებად“ აფასებდნენ მომხდარს, ხოლო ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ გვითხრა, რომ „პროცესი არასასურველად წარიმართა, ისე არა როგორც დაგეგმილი იყო“ და დაგვირდა, რომ პროცესის დასრულების შემდეგ (იგულისხმება სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება) ისაუბრებდა კონკრეტულად.

8 დეკემბერს ჩატარებული ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, შავი ზღვის უნივერსიტეტს პირველკურსელთა მიღების უფლება აღუდგა და სტუდენტთა მიღების კვოტაც, მოთხოვნის შესაბამისად, 3500 სტუდენტამდე გაეზარდა; უფრო ადრე, 22 ოქტომბერს, საქალაქო სასამართლომ უნივერსიტეტის ქონების ყადაღა მოხსნა. ასე რომ, უნივერსიტეტის სარჩელი მთლიანად დაკმაყოფილდა, თუ არ ჩავთვლით პირველკურსელთა მიღებასთან დაკავშირებულ საკითხს, რომელიც განათლების სამინისტრომ უნდა გადაწყვიტოს, რაც ითვალისწინებს პირველკურსელთა მიღებას არა სექტემბრიდან, არა-



მედ მეორე სემესტრიდან, მობილობის წესით, როგორც ამას უნივერსიტეტი ითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის მიმდინარეობის პროცესში შავი ზღვის უნივერსიტეტის შემთხვევა ერთადერთია, ფაქტი მანაც აღმამოთებელია და რაც მთავარია – სა-

ეჭვო, რადგან, საბჭოს ყველა გადაწყვეტილება უსამართლო და უკანონო აღმოჩნდა. რაც შეეხება მის თავმჯდომარეს, ამჯერად მომხდარს „გარემოებების ცვლილებით“ ხსნის. თუმცა, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, კონკრეტულისგან თავს იკავებს.

სამშობლოს დიდი სიხლის კატარა ნაკერსკლები

„პატარა ნაკერსკალი ვარ, სამშობლოს დიდი ცეცხლისა!“ – ამბობს თიანეთელი ხალხური მოლექსე. 24 ნოემბერს, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე (დირექტორი – თინათინ რუხაძე, პროექტებისა და პროგრამების სამსახურის ხელმძღვანელი – ლევან დვალი) ამ „დიდი ცეცხლის ნაკერსკლებს“, საქართველოს ყველა კუთხიდან, მეცხრამეტედ მასპინძლობდა.

24 ნოემბერი...

თეთრი დარბაზი...

დარბაზის შუაგულში, შემადლებულ ადგილზე თვალში გვხვდება მოსწავლის ხელით ნასათუთები, მოხუცების ამარა დარჩენილი, დაცლილი ქართული სოფელი, ხელმარჯვნივ – ქართველი და აზერბაიჯანელი მოსწავლეების მიერ მოქარგულ-მოქსოვილი „ქართული ანბანი“, „საქართველოს რუკა“, „წმინდა გიორგი“, ოქროსფრადმოჭედილი „ვეფხისტყაოსანი“ (თეთრინყაროს სახელოვნებო სკოლა); თვალს იტაცებს საჩხერის, თერჯოლის, ქუთაისის, ტყიბულის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეების, ასევე, ქობულეთის, გორის სოფ. ყელქცეულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა თემატიკაზე შეს-



რულებული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები – ათასფრად მოჩითული გობელენები, თექის, თიხის, ხის, ქვის, ქალაღის, პლასტიკის ნაკეთობანი, ფერწერული ტილოები. მოსწავლეთა ხელოვნებას მაღალი შეფასება მისცეს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა, ეთნოლოგმა ნანული აზიკურმა, სასახლის

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების პედაგოგმა, თინათინ გაბოძემ.

სექციურ სხდომებზე (ხელმძღვანელები – პედაგოგები: ნინელი ჩიხლაძე, ნელი ნიკურაძე, ირმა ცირეკიძე, ცისანა ხაზარაძე) მოსწავლეებმა წარმოადგინეს სხვადასხვა უხარისხიანი ზეპირსიტყვიერი ტექსტები. გამოირჩეოდნენ ცაგერის სოფ. ლაჯანის, ბათუმის კერძო სკოლა „განათლების“, ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა, ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ფოლკლორის წრის წევრთა, საჩხერის ფოლკლორული კლუბის „თავთუხები“, ქედის სოფ. დანდალოს საჯარო სკოლის მოსწავლეთა და სხვათა ნაშრომები.

განსაკუთრებით შთაბეჭდავი იყო ქედის სოფ. ხარაულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ შესრულებული ხმით ნატირალი.

სარკეებიანი დარბაზი...

შუქი ნელ-ნელა ქრება... ეკრანზე ჩნდება წარწერა – „ჩვენ ფოლკლორისტიები ვართ!“... კადრი კადრს ენაცვლება და ჩანს გასული წლების „პიონერფილის“ მოსწავლეთა მიერ გადაღებული უნიკალური კადრები (დიდი მადლობა სასახლის მემატინეს, „პიონერფილის“ უბერებელ ხელმძღვანელს, ბატონ გრიგოლ ჩიგოგიძეს!).

დარბაზი აახშიანეს ქართული ლექსით, სიმღერით, ცეკვით აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ხალხურ საკრავთა ტრიომ, გორის სოფ. ყელქცეულის, ტყიბულის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის, ნინოწმინდის სოფ. განძის მე-2 საჯარო სკოლის სომეხი ეროვნების, სასახლის ბიჭუნათა ანსამბლის „ალიონი“ ფოლკლორულმა ჯგუფებმა და წყალტუბოს სოფ. ფარცხანაყანევის საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელმა ალექო ფხაკაძემ.

მონვეულმა სტუმრებმა – ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ლეთისო მამისიმედივილიმა, ელენე გოგიაშვილიმა, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუ-

ტის ფოლკლორისტიკის განყოფილების უფროსმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, რუსუდან ჩოლოყაშვილიმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, მერი ნიკლაურმა, მეცნიერ-ფოლკლორისტიმა, მარი ტურაშვილიმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა, ნანული აზიკურმა – მაღალი შეფასება მისცეს მოსწავლეთა შემოქმედებას – მათ მიერ მოძიებულ ზეპირსიტყვიერ ტექსტებს, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს!

ვახტანგ კოტეტიშვილი, რომლის სახელსაც ატარებს ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ახალგაზრდა ფოლკლორისტთა შეკრება, მიიჩნევდა, რომ ახალგაზრდობა ეროვნულ ფესვებზე უნდა აღზრდილიყო... და მე-19 შეკრებამ ცხადჰყო, რომ ფოლკლორი ყველაზე სრულად გამოხატავს ქართული ეროვნული სულის თვითმოყოფადობას და რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა 200-მდე მოსწავლემ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ქართული სიტყვის, სიმღერის, ცეკვის უკვდავებაში!

ვახტანგ კოტეტიშვილის სახელობის ახალგაზრდა ფოლკლორისტთა მე-19 შეკრების ყველა მონაწილე სასახლის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა.

ცისანა ხაზარაძე
ვახტანგ კოტეტიშვილის სახელობის ახალგაზრდა ფოლკლორისტთა მე-19 შეკრების პროექტის ხელმძღვანელი



P.S. მადლობას ვუხდით ფოლკლორის ეროვნულ ცენტრს, ხელმძღვანელს – გიორგი დონაძეს, გამომცემლობა „ინტელექტს“, მწერალ ზვიად კვარაცხელიას, სასახლის აღზრდილებს – სმარტისა და ვისოლის მარკეტინგის და პიარის მენეჯერს, ნატო დარჩიაშვილსა და ციფრული სააგენტო „ლივინგს ტონის“ თანადამფუძნებელს, ირაკლი თევზაძეს უანგარო დახმარებისთვის.

სპორტი

ოთხმეზური
პაიოშინში მიღის



ზაზა ფაჩულიას საკალათბურთო აკადემია ბევრ კარგ საქმეს აკეთებს ქართულ კალათბურთში. ზოგადად, ასეთი აკადემიები ბავშვთა სპორტში აუცილებელია, რადგან მერე დიდ სპორტს ედება საფუძვლად. ბუნებრივია, რომ ყველა აკადემიაში ერთნაირად მაღალი დონე არ იყოს, თუმცა მათი შექმნა ფინანსურადაც საკმაოდ ძვირი ჯდება, ხოლო ვინც ფულს იხდის, ის ხარისხზეც ზრუნავს. ფაჩულიას აკადემია პირობებით და ხარისხითაც რომ გამორჩეულად მაღალი დონისაა, ამაზე არავინ კამათობს. მართალია, გადასახადიც შედარებით მაღალია, მაგრამ პირობებიც პროპორციულად მეტია. ოღონდ ამაში მხოლოდ სავარჯიშო ან საყოფაცხოვრებო პირობები არ იგულისხმება. საკმარისია აღინიშნოს, რომ აკადემიაში სწავლასაც ძალიან დიდი ყურადღება ექცევა და მოსწავლეს 7-ზე მაღალი აკადემიური შეფასება თუ არ აქვს, ვარჯიშის უფლებას არ აძლევენ.

ამ დღეებში ფაჩულიას აკადემიაში კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი გამოიჩინა თავი: მისმა აღზრდილმა, 18 წლის ნატალია ოთხმეზურმა ამერიკული სტიპენდია მოიპოვა და თამაშს აშშ-ში, ვაიმონგის შტატის ქალაქ კასპერის კოლეჯში გააგრძელებს. არადა, ოთხმეზური ფაჩულიას აკადემიაში სულ რაღაც ერთი თვის წინ მივიდა და მისი განსაკუთრებუ-

ლი მონაცემები მაშინვე შეამჩნიეს. იმ დღიდანვე დაიწყო მოლაპარაკებები სხვადასხვა კოლეჯთან და საბოლოოდ არჩევანი კასპერზე შეაჩერეს, რომელიც ქალთა კალათბურთის ძლიერი პროგრამით გამოირჩევა.

„ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემს ცხოვრებაში პირველად ხდება მსგავსი ფაქტი და ვეცდები, მაქსიმუმი გავაკეთო და ვასახელო ჩემი ოჯახი, საქართველო. მადლობას ვუხდის ზაზა ფაჩულიას აკადემიას გვერდში დგომისთვის“ – განაცხადა ნატალია ოთხმეზურმა.

ვაჟთა კალათბურთისგან განსხვავებით, ქალთა კალათბურთს ნამდვილად სჭირდება მკვეთრი გაძლიერება. ოთხმეზურის ფაქტიც ამითაა გამორჩეული და მნიშვნელოვანი. იმედია, მას მიმდევრებიც გამოუჩნდებიან და ქალთა კალათბურთში მასობრიობა კიდევ უფრო გაიზრდება.

საჭიდაო დღეები
ბლდანში

ბოლო დღეებში გლდანში მდებარე ოლიმპიური მზადების ცენტრმა ჭაბუკ მოჭიდავეთა ორ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა – მსოფლიოს ჩემპიონ ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობისას თავისუფალ ჭიდაობაში, ხოლო ბერძნულ-რომაულში – ასევე მსოფლიოს ჩემპიონ მიხეილ სალაძის სახელობისას.

ორივე ეს შეჯიბრება უფრო სამეზობლო მნიშვნელობისა გამოდგა, რადგან მასპინძელთა გარდა, მათში ჩვენი უშუალო მეზობლები ჭიდაობდნენ. საქართველო ერთიანი გუნდით არ ყოფილა წარმოდგენილი, ცალკეული რაიონები გამოდიოდნენ.

ბერიაშვილის სახელობის ტურნირში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის გუნდები ასპარეზობდნენ, სულ 212 მოზარდი ათლეტი იბრძოდა მედლების მოსაპოვებლად.

ორდღიანი ასპარეზობის შემდეგ ისე მოხდა, რომ ოქროს მედლების უმეტესობა მასპინძლებმა მოიპოვეს – 10-დან 9 ოქროს დაეუფლნენ, მხოლოდ ერთი ირგუნეს სომხებმა. გაგაცნობთ ჩემპიონთა ვინაობას:

45 კგ. ვარდან ამირხანიანი (სომხეთი); 48 კგ. გიორგი გოგრიჭიანი; 51 კგ. ბეჟან ბარსონიძე (ორივე – ამბროლაური); 55 კგ. ომარ გაზაშვილი (გორი); 60 კგ. გიორგი ზალკალიანი (ამბროლაური); 65 კგ. ლუკა ჯანუშაშვილი (გორი); 71 კგ. დავით კუჭუაშვილი (საგარეჯო); 80 კგ. ლუკა ხუჭუა (სამტრედია); 92 კგ. გიორგი ჩიხრაძე (ონი, ომც); 110 კგ. ნიკოლოზ ბარაბა-

ძე (თბილისი, ომც).

გუნდურ ჩათვლაში საქართველომ გაიმარჯვა, მეორეზე – აზერბაიჯანი, მესამეზე კი სომხეთი გავიდნენ.

სალაძის სახელობის ტურნირში რუსებს მონაწილეობა არ მიუღიათ, მასპინძელთა სხვადასხვა რაიონების გუნდების გარდა, სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრებებიც გამოდიოდნენ, ოქროს მედლები კი მხოლოდ მასპინძლებმა და აზერბაიჯანელებმა გაინაწილეს – 10 წონითი კატეგორიიდან მათ 5-5 ოქრო მოიპოვეს. გუნდურ ჩათვლაში, 225 ქულით, საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა, მეორეზე კი, 205-ით, აზერბაიჯანი გავიდა.

მასპინძელთაგან ჩემპიონები გახდნენ აჭარის გუნდის წევრები – რატი ზოზრევანიძე (48), ნიკა ბროლაძე (60), იაგო გობაძე (80), თბილისელი კოტე სიჭინავა (92) და ქუთაისელი მათე გოჭაძე (110). აზერბაიჯანელებმა კი, ტრადიციულად, უფრო მრავალ წონეში იმარჯვეს. მათგან ოქროს მედლებს არიზ ჰუსეინოვი (45), ყურბან ყურბანოვი (51), ნიჯატ მამადლი (55), ჰასან ჰასანლი (65) და ალახვერდ ალიევი (71) დაეუფლნენ.

უმსროსი ჭაბუკების
შვილული

ამ დღეებში სერბულმა ნოვი სადმა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის, რომელშიც 15-16 წლის გოგო-ბიჭები ასპარეზობდნენ. ჩემპიონატში 28 ქვეყანა მონაწილეობდა, სპორტსმენთა რაოდენობა კი 203 იყო. ტრადიციულად, ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები, რომლებმაც შვიდი მედალი მოიპოვეს: თითო ოქრო-ვერცხლი და ხუთი ბრინჯაო. აქედან 2 ბრინჯაო გოგონების მონაგარია, დანარჩენი კი ბიჭებმა დაისაკუთრეს.

ჩვენი ნაკრებისთვის განსაკუთრებით წარმატებული ჩემპიონატის ბოლო, მეორე დღე გამოდგა, როცა ორი ფინალი იჭიდავეს, ჯამში კი ხუთი მედალი მოიპოვეს. მსოფლიოს ჩემპიონი კასპელი მძიმენოსიანი ირაკლი დემეტრაშვილი გახდა, რომელმაც ფინალში უკრაინელი ალექსანდრე ბუჩოკი დაამარცხა. სამწუხაროდ, მანადე ფინალში ხელი მოეცარა ქართულ გოგონებ ბაიბაძეს (78) – რუს ტამერლან ჰაჯიმურატოვთან დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა.

ტურნირის მესამე პრიზიორები გოგონებში მცხეთელი ნათია კახობერაშვილი (38) და კასპელი ეკატერინე რაზმაძე (41) გახდნენ, ბიჭებში კი – ფოთელი ლუკა გადელია (46), თელაველი დავით ბახბახაშვილი (55) და ხაშურელი პაატა ტაბატაძე (72).

სასკოლო ოლიმპიადა ქუთაისში

ქუთაისში, ორი თვის განმავლობაში, მიმდინარეობდა „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა – 2019“ საქალაქო ტურნირი, რომელშიც ქუთაისის 40 საჯარო თუ კერძო სკოლის გუნდი მონაწილეობდა როგორც გოგონებში, ასევე – ბიჭებში. მათი რაოდენობა 150-მდე იყო, თამაშების პროგრამაში კი სპორტის 7 სახეობა შედიოდა – მინი-ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ბადმინტონი, მაგიდის ჩოგბურთი და გეზრბენი. თამაშების პროგრამაში ასევე შედიოდა მხიარული სტარტები და შემეცნებით-ინტელექტუალური თამაშები.

ორთვიანი პაექრობების შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები, რომლებიც გაისად მონაწილეობას მიიღებენ ჯერ ზონალურ თამაშებში, ხოლო იქ წარმატების შემთხვევაში – რესპუბლიკურ ტურში. დახურვის საზეიმო ცერემონიაზე ქალაქის საკრებულოსა და სპორტულ გაერთიანებათა ხელმძღვანელებმა გამარჯვებულები დიპლომებითა და მედლებით დააჯილდოვეს.



სპორტული ფესტივალი

ალექსანდრე ცინცაძის სახელობის თბილისის 150-ე საჯარო სკოლაში, პროექტის „ახალი სკოლის მოდელი“ ფარგლებში, შიდა სასკოლო სპორტული ფესტივალი გაიმართა. აღნიშნული პროექტის პილოტირება სკოლაში 2018 წლის სექტემბრიდან მიმდინარეობს და მასში I-IV კლასების ყველა მოსწავლე და პედაგოგია ჩართული. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები მიზნად ისახავს სასკოლო კულტურის განვითარებას და სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას. ერთ-ერთი ამ ტიპის აქტივობა განათლებ-

ის, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს რაგბის კავშირის თანამშრომლობით განხორციელდა. „ჩაერთე რაგბიში“ ინიციატივის ფარგლებში, ერთი სემესტრის განმავლობაში, მოსწავლეებთან სახალისო და უსაფრთხო ვარჯიშო-თამაშები ტარდებოდა. შიდა სასკოლო სასპორტო ფესტივალი შემაჯამებელი ღონისძიება იყო, რომლის ფარგლებშიც სახალისო თამაშები ჩატარდა და მასში, სკოლის მოსწავლეებთან ერთად, პედაგოგები და მშობლებიც მონაწილეობდნენ.



რუბრიკას უძღვება ირაპლი თავაძე

სასწავლო პროგრამები
ნიგონი მოსწავლეებისთვის
11 ლარი

ქართული
ნიგონი შვიდწლიანი სასწავლო პროგრამის
პროექტი
11 ლარი

პროფესიული უნარები
პროფესიული უნარები
15 ლარი

ტესტების კრებული
ტესტები
15 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რეპერტუარი
4 ლარი

ინტერაქტიული მეთოდების კრებული
6 ლარი

კათედრის გაგების კორცეფციული
6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი
5.50 ლარი

სწორი დაწესებითი პედაგოგებისთვის
14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწესებითი კლასებში
6.50 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რეპერტუარი
11 ლარი

მოქალაქეთა საბაზისური გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფეხკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამოცემლობის ოფიციალურ ვებგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ნაძვირი და მომინი ანბანი
სერია შედგენილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციალური გამოცემის სახით.

ქართული ანბანი
ერთი კრებულის ფასი – 32.40 ლ

ქართული ანბანი
ერთი კრებულის ფასი – 17.70 ლ

ქართული ენის გრაფიკა
7 ლარი

ქართული ენის გრაფიკა
8 ლარი

ქართული ენის გრაფიკა
4 ლარი

თამაზ ვახაძე
თამაზ ვახაძე

ვაფისცაოსანი
12 ლარი

თამაზ ვახაძე
თამაზ ვახაძე

გიოლოგია
6 ლარი

გიოლოგია
20 ლარი

ისტორია
10 ლარი

ისტორია
10 ლარი

12
10 ლარი

ფიზიკა
12 ლარი

ფიზიკა
10 ლარი

ბეიბეი
39.90

კვლევა და სასწავლო მასალა

სამოძრაო გაკვეთილი
12 ლარი

პროფესიული უნარები
10 ლარი

პროფესიული უნარები
10 ლარი

პროფესიული უნარები
9 ლარი

„ინტერაქტი“ და „ბრტანჯი“ მთავრობის

ინტერაქტი
15 ლარი

ბავშვობის მეთოდები
19 ლარი

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
საბაზისური და პროფესიული გამოცდებისთვის

ტესტები
13 ლარი

სალომონის თანხა გადმოირჩხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „საბაზისური გამოცდებისთვის“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23